ევროკავშირი
საქართველოსთვის

#EU4Youth #StrongerTogether

Junior Achievement Georgia

პროექტი: აღმშენებლობა სოციალური მეწარმეობით

სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია და აღიარება გზამკვლევი მეწარმეებისთავის

ავტორი: თამარ ნოზაძე

რედაქტორი: ეკა გეგეშიძე

აქსელერატორ_X | სოციალური მეწარმეობის პროგრამა

წინამდებარე საინფორმაციო გზამკვლევი განკუთვნილია სურსათის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და დისტრიბუციის სფეროში საქმიანობის დაწყებით დაინტერესებული მეწარმეებისთვის, მათ შორის სტარტაპებისთვის, საოჯახო მეურნეობებისთვის, ფერმერებისთვის და სოფლის მეურნეობის მცირე ბიზნესებისთვის. მისი მიზანია პრაქტიკული და გასაგები ფორმით მიაწოდოს მათ ინფორმაცია სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისა და, შესაბამის შემთხვევებში, აღიარების პროცედურების შესახებ. გზამკვლევის საშუალებით მეწარმეები გაეცნობიან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნებს, განსაზღვრავენ, ექვემდებარება თუ არა მათი საქმიანობა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღიარებას, და მიიღებენ ინფორმაციას შესაბამისი პროცედურების, ვადების, ვალდებულებებისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გზამკვლევი ასევე დაეხმარება მათ საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად დაწყებასა და წარმართვაში, შესაძლო დარღვევებისა და სანქციების თავიდან აცილებაში.

აქსელარაციის პროგრამის, ეს სასწავლო-საინფორმაციო მასალა, მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ დოკუმენტის შინაარსი მთლიანად „Junior Achievement Georgia“-ს პასუხისმგებლობაა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველად.

2025

WE SHARE
JA Europe
JA Georgia
JA Lithuania
Junior Achievement Moldova
JA Ukraine

სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია და აღიარება

გზამკვლევის მიზანი

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია სურსათის წარმოების, პირველადი წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და დისტრიბუციის სფეროში საქმიანობის დაწყებით დაინტერესებულ მეწარმეებს პრაქტიკული და გასაგები ინფორმაცია მიაწოდოს სურსათის ბიზნესოპერატორად რეგისტრაციისა და აღიარების სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ.

გზამკვლევის საშუალებით მეწარმეები გაეცნობიან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის პროცედურას, განსაზღვრავენ, ექვემდებარება თუ არა მათი საქმიანობა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღიარებას, და მიიღებენ ინფორმაციას აღიარებისა და პირობითი აღიარების მიღების ეტაპების, ვადებისა და აუცილებელი წინაპირობების შესახებ. მასალაში ასევე განხილულია ბიზნესოპერატორის ძირითადი ვალდებულებები, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის წესი, აღიარების შეჩერების, გაუქმებისა და აღდგენის საფუძვლები, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები და კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

გზამკვლევი დაეხმარება მეწარმეებს საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად დაწყებასა და წარმართვაში, შესაძლო სამართლებრივი დარღვევებისა და ფინანსური სანქციების თავიდან აცილებაში, ასევე სურსათის უვნებლობის სათანადო მოთხოვნების დაცვაში.

შესავალი

პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის წარმოებასთან, პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან და არ წარმოადგენს ოჯახური წარმოების სუბიექტს[1], ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმიანობის დაწყებამდე განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. **რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორის საქმიანობა აკრძალულია.**

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაციის შემდგომ, სურსათის ბიზნესოპერატორი ვალდებულია საქმიანობის შეწყვეტის ან/და საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის სამსახურს და მოახდინოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების ასახვა.

ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

032 2 405 405 | info@napr.gov.ge | https://www.napr.gov.ge/

პასუხისმგებლობა:

- **რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის განხორციელება** - იწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას.
- **საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში ცვლილების არ ასახვა** - იწვევს გაფრთხილებას, ხოლო აღნიშნული დარღვევის განმეორება დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

გახსოვდეთ! რეგისტრაციის მომენტიდან ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი. ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

აღიარება – რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.

აკრძალულია აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც აღიარებას ექვემდებარება.

აღიარებას ექვემდებარება საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან

გარდა იმ ბიზნესოპერატორისა, რომელიც:

- ახორციელებს ოჯახურ წარმოებას[2];

---

[1] **ოჯახური წარმოების სუბიექტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით.

[2] **ოჯახური წარმოება** – სურსათის წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით.

- ახორციელებს პირველად წარმოებას;
- ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამუშავებას;
- მაღალმთიან რეგიონში არაქარხნული წესით ახორციელებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებას ან/და პირველად წარმოებას;
- ახორციელებს პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
- ახორციელებს ფერმაში დაკლული ფრინველის და ბოცვრისნაირების ხორცის, ნანადირევი გარეული ცხოველისა და ფრინველის ან ნანადირევის ხორცის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი;
- ახორციელებს ისეთი ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას, რომელიც არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტემპერატურის კონტროლს;
- ახორციელებს საცალო ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საცალო ვაჭრობა ხორციელდება ცხოველური წარმოშობის სურსათის სხვა საწარმოსთვის მიწოდების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: საქმიანობა მოიცავს მხოლოდ ცხოველური წარმოშობის სურსათის შენახვას ან
- ტრანსპორტირებას; ცხოველური წარმოშობის სურსათი მხოლოდ ერთი საცალო ვაჭრობის პუნქტიდან მეორე საცალო ვაჭრობის პუნქტს მიეწოდება ადგილობრივად.

ბიზნესოპერატორის აღიარება ან პირობით აღიარება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - **სურსათის ეროვნული სააგენტო**

1501 info@nfa.gov.ge https://nfa.gov.ge/

1.	ბიზნესოპერატორი განცხადებით მიმართავს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცენტრალურ აპარატს ან ტერიტორიულ ორგანოებს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი, ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი), ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი).

2.	განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტო ადგილზე ახორციელებს ბიზნესოპერატორის ინსპექტირებას. სახელმწიფო კონტროლის - ინსპექტირების შედეგების მიხედვით სააგენტო 10 დღის განმავლობაში ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობითი აღიარებას ან უარს აცხადებს აღიარების მინიჭებაზე.

- თუ ბიზნეოპერატორი ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (შემდგომში – კლასიფიკატორი) სხვადასხვა ჯგუფში მითითებული ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას/გადამუშავებას, ბიზნესოპერატორის აღიარება ხორციელდება ამ კლასიფიკატორის შესაბამისი ჯგუფების მიხედვით.

- სააგენტო ბიზნესოპერატორს აღიარებას ანიჭებს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

- თუ ინსპექტირების შედეგებით დადგენილი იქნება, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ საწარმოს ინფრასტრუქტურა, მოწყობილობები და აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო ბიზნესოპერატორს ერთი თვის ვადით ანიჭებს პირობით აღიარებას.

- პირობითი აღიარების ვადის გასვლის შემდეგ, სააგენტო ახორციელებს განმეორებით ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:

  - პირობითი აღიარების ვადა გრძელდება 1 თვით, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (გარდა შემდეგი შემთხვევებისა: თუ აღმოჩნდა ისეთი შეუსაბამობა, რომელიც მაღალ რისკს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც არის კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებითი შეჩერების საფუძველი; თუ ბიზნესოპერატორს, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ევალება, დანერგოს და არ აქვს დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად).

- ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

- იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს უარი ეთქვა პირობითი აღიარების გაგრძელებაზე და ის მიმართავს განცხადებით სააგენტოს აღიარების შესახებ, განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება. ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უარი ეთქმება აღიარებაზე.

- პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი ინსპექტირების საფუძველზე, ბიზნესოპერატორი წყვეტს საქმიანობას ან ენიჭება აღიარება.

- თუ გაგრძელებული პირობითი აღიარების ვადების განმავლობაში ბიზნესოპერატორთან განხორციელდა ინსპექტირება და ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება ინსპექტირების შედეგების მიხედვით, ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

3.	სააგენტო აღიარებულ ბიზნესოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნესოპერატორს, ანიჭებს აღიარების ან პირობით აღიარების ნომერს და აღიარების შემთხვევში ბიზნესოპერატორის მოთხოვნისამებრ გასცემს **„ბიზნესოპერატორის აღიარების სერტიფიკატს“.**

აღიარების გაუქმება, შეჩერება და აღდგენა:

- სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე ბიზნეოპერატორის საწარმოო პროცესის შეჩერება იწვევს აღიარების შეჩერებას.
- ბიზნესოპერატორის აღიარების გაუქმებას იწვევს თუ:
  - სახელმწიფო კონტროლის საფუძველზე ბიზნესოპერატორს სააგენტოს მიერ ერთი წლის განმავლობაში ორჯერ ექნება შეჩერებული აღიარება;
  - აღიარების შეჩერების ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს;
  - ბიზნესოპერატორს, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ევალება დანერგოს და არ აქვს დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად;
  - პირობითი აღიარების ვადის გასვლის შემდეგ განმეორებითი ინსპექტირების დროს გამოვლინდა, რომ ბიზნესოპერატორს შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს საქმიანობა სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე.
  - ბიზნესოპერატორი მიმართავს სააგენტოს აღიარების გაუქმების მოთხოვნით.

ბიზნესოპერატორის აღიარების აღდგენა ხდება, თუ:

- ბიზნესოპერატორს გაუქმებული აქვს აღიარება და ის განცხადებით მიმართავს სააგენტოს აღიარების აღდგენის შესახებ. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტო ახორციელებს ბიზნესოპერატორის ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უარი ეთქმება აღიარებაზე.

ბიზნესოპერატორის ვალდებულებები:

- ითანამშრომლოს სააგენტოსთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- შეწყვიტოს საქმიანობა, თუ სააგენტო: გაუუქმებს აღიარებას; პირობითი აღიარების შემდეგ არ მიანიჭებს აღიარებას.
- ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში ცვლილებების, საქმიანობის დროებით შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.

გასაჩივრების წესი:

ბიზნესოპერატორის აღიარების, პირობითი აღიარების, აღიარების აღდგენაზე უარის თქმის ან აღიარების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პასუხისმგებლობა:

- აღიარების გარეშე საქმიანობის განხორციელება - იწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით და საქმიანობის შეჩერებას.

გამოყენებული წყაროები და სასარგებლო ოფიციალური ბმულები

საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები

1. **საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“**, მიღებული 2012 წლის 8 მაისს, დოკუმენტის №6155-Iს, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.05.001.016709.

კოდექსი განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორის რეგისტრაციისა და აღიარების ვალდებულებებს, სახელმწიფო კონტროლის წესებსა და სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ოფიციალური, კონსოლიდირებული ვერსია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659434

2. **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილება „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“**.

დადგენილებით განსაზღვრულია:

- ✓ აღიარებას დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორები;
- ✓ აღიარებისგან გათავისუფლების შემთხვევები;
- ✓ აღიარებისა და პირობითი აღიარების პროცედურები;
- ✓ ინსპექტირების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები;
- ✓ აღიარების ნომრის მინიჭება;
- ✓ აღიარების შეჩერების, გაუქმებისა და აღდგენის საფუძვლები;
- ✓ ბიზნესოპერატორის ვალდებულებები და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

ოფიციალური გვერდი, დადგენილებისა და მასში შეტანილი ცვლილებების ჩამონათვალით: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2657469

3. **საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრის №550 დადგენილება „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**.

აღნიშნული დადგენილება გამოყენებული უნდა იქნეს №722 დადგენილების განახლებული მოთხოვნების შესამოწმებლად. ბმული: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5636823

4. **საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“**, მიღებული 2008 წლის 19 დეკემბერს, დოკუმენტის №820, სარეგისტრაციო კოდი: 040.150.000.05.001.003.390.

კანონი არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის წარმოებას, საქმიანობის რეგისტრაციას, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანასა და რეგისტრაციის შეწყვეტას. კანონის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადა რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წელია, თუ დაინტერესებული პირი არ მოითხოვს ვადის გაგრძელებას. ოფიციალური, კონსოლიდირებული ვერსია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560

ოფიციალური პრაქტიკული და საინფორმაციო წყაროები

5. **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - ეკონომიკური საქმიანობის რეესტრი**.

გვერდზე წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ძირითადი მომსახურებები, სავალდებულო საქმიანობების ჩამონათვალი, ეროვნული კლასიფიკატორი, საკონსულტაციო ბარათები, განცხადების მოძიების საშუალება, მომსახურების ვადები და საფასურები. ბმული: https://www.napr.gov.ge/ka/service/registers/economic-activity-register

6. **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო — ხშირად დასმული კითხვები ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ.**

წყარო განმარტავს:

- ✓ ვის შეუძლია ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაცია;
- ✓ რა დოკუმენტებია წარსადგენი;
- ✓ როგორ უნდა მიეთითოს საქმიანობის სახე და საქმიანობის მისამართი;
- ✓ რამდენია რეგისტრაციის მოქმედების ვადა;
- ✓ როგორ ხდება რეგისტრაციის გაგრძელება, ცვლილება ან გაუქმება.

ბმული: https://www.napr.gov.ge/ka/page/frequently-asked-questions/economic-activity

7. **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო — ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის მომსახურების საფასურები და ვადები.**

ბმული: https://www.napr.gov.ge/ka/page/fees-and-terms/economic-activity-fee

8. **სურსათის ეროვნული სააგენტო - ბიზნესოპერატორის აღიარების გზამკვლევი.**

ოფიციალურ გზამკვლევში განმარტებულია:

- ✓ რომელი ბიზნესოპერატორი ექვემდებარება აღიარებას;
- ✓ სად და როგორ უნდა წარადგინოს მეწარმემ განცხადება;
- ✓ რა ინფორმაცია უნდა აისახოს განცხადებაში;
- ✓ როგორ ტარდება ინსპექტირება;
- ✓ რა შემთხვევებში გაიცემა აღიარება ან პირობითი აღიარება;
- ✓ როგორ ხდება აღიარების გაუქმება და აღდგენა;
- ✓ რა ვალდებულებები ეკისრება აღიარებულ ბიზნესოპერატორს.

გვერდიდან ასევე ხელმისაწვდომია განცხადების ფორმა, აღიარების სერტიფიკატის ფორმა, აღიარებული ბიზნესოპერატორების ჩამონათვალი და აღიარებას დაქვემდებარებული ეკონომიკური საქმიანობების ნუსხა. ოფიციალური ბმული: https://nfa.gov.ge/Ge/Page/Guidelines%20for%20Recognition

9. **სურსათის ეროვნული სააგენტო - ინფორმაცია ბიზნესოპერატორებისთვის.**

გვერდზე განთავსებულია სურსათის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, შენახვასთან, დისტრიბუციასთან, სახელმწიფო კონტროლთან და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაცია. ოფიციალური ბმული: https://nfa.gov.ge/Ge/Page/Information%20for%20business%20operators

10. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური — ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი, სეკ 006-2016, NACE Rev. 2.**

კლასიფიკატორი გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისი სექციის, განყოფილების, ჯგუფის, კლასისა და ქვეკლასის განსაზღვრისთვის, რომელიც უნდა მიეთითოს ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციისა და ბიზნესოპერატორის აღიარების განაცხადებში.

კლასიფიკაციების ოფიციალური გვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/125/klasifikatsiebi

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორი: https://www.geostat.ge/media/70150/NACE-Rev_2_GE_2023.pdf

შენიშვნა: სამართლებრივი მოთხოვნები შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს. საქმიანობის დაწყებამდე მეწარმემ უნდა გადაამოწმოს საკანონმდებლო აქტების მოქმედი, კონსოლიდირებული რედაქცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციისთვის მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს ან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.